ჭეშმარიტად, იქნებიან ისეთი მმართველები, რომლებიც იცრუებენ და უსამართლობას ჩაიდენენ, ვინც დაამოწმებს მათ ტყუილს და დაეხმარება მათ უსამართლობაში, ის ჩემიანი არ არის

ჰუზაიფა გადმოსცემს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, იქნებიან ისეთი მმართველები, რომლებიც იცრუებენ და უსამართლობას ჩაიდენენ, ვინც დაამოწმებს მათ ტყუილს და დაეხმარება მათ უსამართლობაში, ის ჩემიანი არ არის, და ვერ დალევს ჩემთან ერთად წყალსაცავიდან წყალს, ხოლო ვინც არ დაამოწმებს მათ ტყუილს და არ დაეხმარება მათ უსამართლობაში ის არის ჩემიანი, და მე ვარ მისიანი, და ის დალევს ჩემთან ერთად წყალსაცავიდან წყალს».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნო, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ხალხის მმართველობაში მოვლენ ისეთი მმართველები, რომლებიც იცრუებენ მათ სიტყვებში, და იტყვიან იმას, რასაც არ აკეთებენ. უსამართლობას ჩაიდენენ თავიანთ მმართველობაში, ვინც მივა მათთან და დაადასტურებს მათ ტყუილს, ან ვინც დაეხმარება მათ უსამართლობის ჩადენაში, ან გასცემს მათ სასარგებლო ფათვას მათთან დასაახლოვებლად ან იმის მოპოვების სურვილით, რასაც ისინი ფლობენ; მე ვარ შორს მისგან და ის ჩემიანი არ არის, და მე არ ვარ მისიანი, და ის ვერ მოვა ჩემთან ქავსარის წყალსაცავთან განკითხვის დღეს, ხოლო ვინც არ მივა მათთან, არ დაამოწმებს მათ ტყუილს და არ დაეხმარება მათ უსამართლობაში ის ჩემიანია, და მე მისიანი ვარ, და ის ჩემთან ერთად იქნება ქავსარის წყალსაცავთან განკითხვის დღეს.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66197